



სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი აცხადებს ჟურნალისტთა შესარჩევ კონკურსს

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი (CDI), World Vision-თან პარტნიორობითა და ევროკავშირის დაფინანსებით ახორციელებს პროექტს სკოლის ახალგაზრდული ჯგუფების მხარდაჭერა ეფექტური და მდგრადი გადაწყვეტილებებისათვის (SYNCS), რომლის მიზანია საქართველოში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა ადგილობრივი პრობლემების გადასაჭრელად.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია თბილისის, გორის, ახალციხის, თელავის, ზუგდიდისა და ქუთაისის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა. უნივერსიტეტები და სკოლები ერთობლივად განახორციელებენ პრაქტიკულ კვლევას 36 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. პრაქტიკული კვლევა უნდა შეეხებოდეს სკოლაში სამოქალაქო განათლების პრაქტიკული ასპექტების გაძლიერებას. თითოეული უნივერსიტეტიდან კვლევაში მონაწილეობას მიიღებს 4 სტუდენტი, სულ პროექტის განხორციელებაში ჩაერთვება 24 სტუდენტი 6 უნივერსიტეტიდან.

განათლებისა და ახალგაზრდების ჩართულობის საკითხების კვლევისა და გამუქების მიზნით, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი აცხადებს ჟურნალისტების შესარჩევ კონკურსს.

კონკურსის მიზანია: ანალიტიკური სტატიების ან სიღრმისეული რეპორტაჟების მომზადება სასკოლო ან საუნივერსიტეტო განათლებისა და ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხებზე.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ფიზიკურ პირებს, რომელთაც აქვთ საგანმანათლებლო და ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხებზე წერის გამოცდილება.

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი აფინანსებს 12 სტატიას.

პროექტის ფარგლებში ჟურნალისტები მოამზადებენ ანალიტიკურ სტატიებსა და სიღრმისეულ რეპორტაჟებს საგანმანათლებლო და ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხებზე.

კონკურსში მონაწილეობა:

კონკურსში მონაწილეობისთვის ვიწვევთ მედიაში დასაქმებულ ჟურნალისტებს. დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

1. სამოტივაციო წერილი;
2. ავტობიოგრაფია;
3. მედიიდან ცნობა, რომ მომზადებული მასალა გამოქვეყნდება;
4. ამავე თემებზე მომზადებული ანალიტიკური სტატიების ან სიღრმისეული რეპორტაჟის ასლები;
5. ორი რეკომენდატორის საკონტაქტო ინფორმაცია;
6. შევსებული კონფიდენციალური ბიზნეს კითხვარის ფორმა.

შერჩევასა უპირატესობა მიენიჭება ჟურნალისტის გამოცდილებას.

კონკურსში მონაწილეობისთვის ვიწვევთ ჟურნალისტებს, რომლებიც არიან ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ხელმძღვრები და აღიარებენ ეთიკური ჟურნალისტიკის პრინციპებს.

განსახილველი მასალა წარმოდგენილი უნდა იქნას სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის ოფისში, დახურულ კონვერტში, მისამართზე: ჭოველიძის (ყოფილი ბელინსკის) 10, 2016 წლის 15 აპრილს 11:00-დან 18:00-მდე.

კონვერტს უნდა ეწეროს:

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი

პროექტი: სკოლის ახალგაზრდული ჯგუფების მხარდაჭერა ეფექტური და მდგრადი გადაწყვეტილებებისათვის (SYNCS)

კონკურსის დასახელება: ჟურნალისტების შესარჩევი კონკურსი

წარმდგენის გვარი და სახელი

თარიღი:

საკონტაქტო პირი: თამარ ჩხაიძე, ელ.ფოსტა: civicdevelopmentinstitute2005@gmail.com

კონფიდენციალური ბიზნეს კითხვარის ფორმა

1. სახელი და გვარი

2. იურიდიული მისამართი

3. ფიზიკური მისამართი

4. ტელეფონის ნომერი

5. ფაქსი

6. ელ. ფოსტა

7. პირადი ნომერი

8. საბანკო რეკვიზიტები (მომსახურე ბანკი, ბანკის კოდი და ანგარიშსწორების ანგარიში)

9. ორი რეკომენდატორის საკონტაქტო ინფორმაცია.

10. სერვისის ღირებულება (ლარში, ხელზე ასაღები)

მე ვადასტურებ ზემოთ მოცემული ინფორმაციის სისწორეს და რომ არ გამაჩნია ნასამართლეობა და ჩემს წინააღმდეგ არ არის აღძრული საქმე .

ხელმოწერა

სახელი და გვარი სრულად

თარიღი
